პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

კვირა, 7 ნოემბერი, 1948 წ. № 222 (8266). ფასი 20 კაპ.

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით — წინ — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

თბილისის სანარმოთა მიღწევები საოჯახომგრო სოციალისტურ შეჯიბრებაში

ახალი საწარმოო მიღწევებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავს საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის საწარმოები. ოქტომბერში თბილისის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 111,7 პროცენტით. აქედან სარეწო კოოპერაციის სამმართველოს არტელებს ოქტომბრის გეგმა შესრულებული აქვთ 117,3 პროცენტით, ხოლო საქართველოს ინვალიდთა კოოპერაციული კავშირის არტელებს — 118,3 პროცენტით.

1948 წლის ათ თვეში თბილისის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 103,3 პროცენტით.

31-ე წლისთავის დღესასწაულისათვის წლიური საწარმოო გეგმა გაანადდა 26 საწარმომ. იმ საწარმოთა შორის, რომლებმაც წლიური გეგმები შეასრულეს 1-დან 6 ნოემბრამდე, არიან—ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, ქარხანა „დაზგა“, ზეთსახდელი, პლასტმასის, ასფალტ-ბეტონის, გაჯის მექანიზებული და კონიაკარაყის ქარხნები, ფეხსაცმლის მესამე, მასრა-ყოვის და მეორე საკონდიტრო ფაბრიკები, მუსიკალური ავეჯის კომბინატი და სხვა საწარმოები.

მრავალმა საწარმომ ათ თვეში 11 თვის გეგმა გაანადდა. მათ შორის არიან — 26 კომისრის სახელობის, ავშალის ფოლად-თუჯის სამსხმელო, ლითონკონსტრუქციების ქარხნები, სართავ-სატრიოტაჟო კომბინატი, სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკა, მეორე სამკერვალო ფაბრიკა და მრეწველობის მთელ რიგ სხვა დარგთა საწარმოები.

ბევრმა იმ საწარმომ, რომელიც წინათ ჩამორჩებოდა, ოქტომბერში შესამჩნევად გააუმჯობესა მუშაობა და შეასრულა თვიური დავალება. მათ შორისაა ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ფარგლებში გაშლის შედეგად თბილისის მრეწველობის საწარმოებმა მრავალი სერიოზული წარმატება მოიპოვეს ზეგეგმიანი დაგროვებისათვის ბრძოლაში და აითვისეს ახალი სახის პროდუქციის გამოშვება. ომის შემდგომი სტალინური ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის შეჯიბრებას თბილისის მრეწველობის მუშაკები ახალი ძალით ჩაერევნენ.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ბულგანინი

ბრძანება

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა

1948 წლის 7 ნოემბერი № 85 ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდამეთერთმეტე წლისთავს.

საყოველთაო სახალხო დღესასწაულს ჩვენი სამშობლო ხვდება უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. მთელი საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები აღფრთოვანებით მუშაობენ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის — ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანებმა, საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე, დიდი წარმატებანი მოიპოვეს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის, ომისშემდგომი ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმატებამ, პროდუქტებისა და საქონლის ფასების შემცირებამ, მანეთის მყიდველუნარიანობის ამაღლებამ გამოიწვიეს მშრომელთა ცხოვრების მატერიალური პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

საბჭოთა ხალხი, რომელსაც ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობს და ალაფრთოვანებს, რწმენით მიდის წინ თავისი მიზნის — კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა კავშირი, ერთგული მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების პოლიტიკისა, გაბედულად და თანმიმდევრულად განაგრძობს ბრძოლას ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, ხალხთა მეგობრული თანამშრომლობისათვის.

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკა წინააღმდეგობას ხვდება ინგლისელ-ამერიკელ ომის გამჩაღებელთა მხრივ, რომლებიც ფუშავენ საბჭოთა კავშირთან შეთანხმებისა და თანამშრომლობის პოლიტიკას და ისწრაფვიან გაიჩაღონ ახალი ომი. მაგრამ ომის გაჩაღების ეს პოლიტიკა განწირულია ჩაბაშელად, ვინაიდან მშვიდობის მომხრე საზოგადოებრივი ძალები დიდია, ისინი დღითიდღე იზრდებიან და მტკიცდებიან და ომის გამჩაღებლები მათ ვერ დასძლევენ.

მშვიდობისა და უშიშროების საქმე, ჩვენი სახელმწიფო ინტერესების უზრუნველყოფის საქმე მოითხოვს საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, მათს მოდგმე საბრძოლო მზადყოფნას თავისი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდამეთერთმეტე წლისთავს ჩვენი შეიარაღებული ძალები შეხვდნენ ახალი წარმატებებით საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში. წარმონის ხაზგასმული პერიოდში საბჭოთა მეომრებმა შეასრულეს მათს წინაშე დასახული ამოცანები, აითვისეს სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა და პრაქტიკული ჩვევანი.

სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების მთელი პირადი შემადგენლობა ვალდებულია მომავალშიც ბეჯითად იმუშაოს თავისი სამხედრო ოსტატობისა და პოლიტიკური მომზადების სრულსაყოფად, აითვისოს და წინ წასწიოს საბჭოთა სამხედრო მეცნიერება, აიმაღლოს ტექნიკური კულტურა, განამტკიცოს დისციპლინა და გაამლიეროს სიფხიზლე.

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

მოგეხსენებიან და მოგიხილავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდამეთერთმეტე წლისთავს.

საყოველთაო სახალხო დღესასწაულის აღსანიშნავად ვბრძანებ:

დღეს, 7 ნოემბერს, ოცი საარტილერიო ზალპით, მიცემულ იქნას სალუტი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, აგრეთვე კალინინგრადში, ლვოვში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკში, პორტ-არტურსა და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში.

გაუმარჯოს ძმრ საბჭოთა ხალხს და ჩვენს მძლავრ სამშობლოს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს — დიდ სტალინს!

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ბულგანინი

ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე!

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა, პარტიული, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავისადმი, მგზნებარე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, საბჭოთა ხალხის ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს!

საბჭოთა კავშირის ხალხები ოქტომბრის სახელოვან ოცდამეთერთმეტე წლისთავს ხვდებიან ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის თავდადებული ბრძოლის ვითარებაში. საბჭოთა ადამიანები, რომლებსაც ხელმძღვანელობს მათი ნაცადი ავანგარდი — კომუნისტური პარტია—ძალ-ღონესა და შრომას არ იშურებენ, რათა განამტკიცონ თქვენი, ამხანაგო სტალინ, გენიალური წინასწარდასახულობანი ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისა და განტკიცების დარგში.

დიდი გამარჯვებანი მოიპოვეს გასულ წელს ჩვენმა მრეწველობამ, ტრანსპორტმა და სოფლის მეურნეობამ. განსაოცებელია ომისშემდგომი ხუთწლედის ერთ-ერთი უძნშვნელოვანესი ამოცანა—მიღწეული და მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია ომამდელი დონე. დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ჩვენმა სოციალისტურმა კულტურამ და მეცნიერებამ. განუხრელად მაღლდება მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. ყოველივე ამაში ახალი ძალით ჩანს თავი საბჭოთა წყობილების, მეურნეობის სოციალისტური სისტემის უდიდესმა უპირატესობამ კაპიტალიზმის წინაშე.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს ჩვენი სახელოვანი დედაქალაქის მოსკოველთა და მოსკოვის ოლქის მშრომელებმა.

დედაქალაქისა და ოლქის 1.000-ზე მეტმა საწარმომ ოქტომბრის 31-ე წლისთავისათვის დაამთავრა წლიური გეგმის შესრულება. 5 ნოემბრისათვის მოსკოველთა და ოლქის მრეწველობის, ტრანსპორტისა და საქალაქო მეურნეობის საწარმოებმა ჩვენს ქვეყანას მისცეს 1 მილიარდ 800 მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმიათი დაგროვება. მოსკოვის ოლქის კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა ვადამდე, 7 სექტემბერს, შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა, გეგმის გადაჭარბებით მოგვეცეს 700 ათასამდე ფუთი პური. ვადამდე შესრულებულია აგრეთვე კარტოფილის, ბოსტნეულის, რძისა და ერბო-კარაქის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა. 1948 წლის ათ თვის განმავლობაში აშენდა 136 სასოფლო ელექტროსადგური და ელექტროფიცირებულია 1.000-ზე მეტი კოლმეურნეობა.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ! დედაქალაქის მშრომელნი ყოველდღიურად ბრძნობენ თქვენს განუწყვეტელ ზრუნვას მოსკოველთათვის, მოსკოველთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. გიგანტური მასშტაბით სწარმოებს მუშაობა მოსკოვის რეკონსტრუქციის სტალინური გენერალური გეგმის განსახორციელებლად. ფართოდ გაჩაღდა სახნაო მშენებლობა. ქალაქსა და მის გარეუბნებში. შენდება 2.000-ზე მეტი სახლი. შენდება მეტროპოლიტენის ახალი ხაზი. გაჩაღებულია მეშრომა სიგზაო მშენებლობაზე, ქეზებისა და მოედნების ასფალტმოსაწყობად და გასამწვანებლად. ქალაქის ტრანსპორტს შეემატა ახალი გაუმჯობესებული მძრავი შემადგენლობა. თქვენი ინიციატივით აგებული სარატოვ-მოსკოვის გაზსადენის ამუშაების დღიდან მილიონამდე მოსკოველმა მიიღო გაზი თავის ბინაში. დიდდება სასურსათო და სამრეწველო საქონლის მოხმარება. ქალაქის საავადყოფოთა ქსელი 20 პროცენტით გადიდდა ომამდელ პრიიღთან შედარებით. ეითარდება და უმჯობესდება სკოლების და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა.

შშრომელთა საჭირბოროტოსათვის ასეთი ზრუნვა შესაძლებელია მხოლოდ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში!

მიიღეთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, მხურვალე, გულითადი მადლობა მშობლიურ სოციალისტურ მოსკოველ თქვენი მამობრივი ზრუნვისათვის.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ! საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობა ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს ხალხის უსაზღვრო ერთგულებას ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი, მოწმობს იმას, რომ მშრომელნი სავსებით და ერთსულოვნად უჭერენ მხარს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას.

ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს, როგორც დემოკრატიული ბანაკის ავანგარდის, მთელი მოწინავე კაცობრიობის ბურჯის, როლი ახალი ძალით გამოვლინდა მტკიცე მშვიდობისა და სახალხო დემოკრატიისათვის ბრძოლაში.

აჩოიბენ რა სამშვიდობო მშენებლობას, საბჭოთა კავშირის ხალხები ფეზიზად აღუვენებენ თავლყურს, თუ რა ხრიკებს მიმართავს საერთაშორისო იმპერიალისტური რეაქცია, რომელიც ცდილობს თავს მოაბეჭოს კაცობრიობას ახალი სისხლისმღვრელი ომი. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს ახსოვთ, რომ მშვიდობის ყველაზე მტკიცე და სანდოდ გარანტიას წარმოადგენს დიდი საბჭოთა კავშირის ძლიერების შემდგომი განმტკიცება.

მშვიდობის განმტკიცების, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ხალხთა უშიშროებისაკენ მიმართული ბრძოლი სტალინური საგარეო პოლიტიკა პროგრესული ადამიანების სიმპათიასა და მხარდაჭერას იწვევს ყველა ქვეყანაში.

თქვენმა, ამხანაგო სტალინ, პასუხმა „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე ამბილა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ახლანდელ ხელმძღვანელთა პოლიტიკა, როგორც ავრესის პოლიტიკა, ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკა. თქვენმა სიტყვებმა იმ საზოგადოებრივ ძალთა ძლიერების შესახებ, რომლებიც მშვიდობის მომხრე არიან, მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა მთელი მსოფლიოს მილიონობით უბრალო ადამიანის გულში.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე! მოსკოველთა და მოსკოვის ოლქის ყველა მშრომელის სახელით პირობას გაძლევთ, რომ მოსკოველი მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია უფრო მაღლა ასწევენ სოციალისტური შეჯიბრების დროშას, უფრო მტკიცედ იბრძოლებენ ომისშემდგომი ხუთწლედის ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის ახალი აყვავებისათვის.

ჩვენ, ვცხოვრობთ ისეთ საუკუნეში, როცა ისტორიული განვითარების ყველა გზას კომუნიზმისაკენ მივყავართ. ეს გზა კაცობრიობას ეჩვენა უკვდავმა ლენინმა, ეჩვენეთ თქვენ. ჩვენთ საყვარელო მასწავლებელო და ბელადო! თქვენი ნაცადი და ბრძენი ხელმძღვანელობით ჩვენ მივაღწევთ კომუნიზმის სრულ გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში.

გისურვებთ, იოსებ ბესარიონის-ძე, მრავალ წელს ჯანმრთელობას ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ხალხთა საბედნიეროდ, მთელი პროგრესული კაცობრიობის საკეთილდღეოდ!

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავს!

გაუმარჯოს ჩვენს ძლიერ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ვმრიულ ლენინ-სტალინის პარტიას!

დიდება საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს, მშობლიურ ამხანაგ სტალინს!

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 10 ნოემბერს

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXI წლისთავი

ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1948 წლის 6 ნოემბერს

ამხანაგებო!

დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავს.

საბჭოთა კავშირის მშრომელნი დიდი ოქტომბრის ამ წლისთავს ეგებებიან ომისშემდგომი ხუთწლეულის მესამე გადამწყვეტი წლის სახელოვანი გამარჯვებებით. ფაშისტული და მტაცებელი სოციალისტური შეჯიბრება მუშათა კლასში, კოლმეურნე გლეხობაში, საბჭოთა ინტელიგენციის რიგებში, დღითიდღე ძლიერდება სსრ კავშირის ხალხთა წარმომბანან კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ენთუსიაზმი მშრომელი მეწყვილობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის უმაგალითო მასშტაბისა და მნიშვნელობის დიდი გეგმების განსახორციელებლად. ჩვენს თვალწინ იზრდება საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძალიერება. განეხრელად იზრდება ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. უფრო მეტად მტკიცდება მეგობრობა სსრ კავშირის ხალხებსა, რომელნიც ალფრთოვანებენი არიან საბჭოთა პატრიოტიზმით, გამაჭეაალული არიან უსაზღვრო ნდობითა და სიყვარულით ჩვენი ქვეყნის სტალინური ხელმძღვანელობისადმი.

ახალი აღმავლობის გზით

ჩვენი ხალხის მთელ მუშაობას დიდი საპაძალო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საფუძველად უდევს ამხანაგ სტალინის ცნობილი მითითებანი:

„დაამთავრა რა ომი მტრებზე გამარჯვებით, საბჭოთა კავშირი შეეფინა თავისი სამეურნეო განვითარების ახალ, მშვიდობიან პერიოდში. ამჟამად საბჭოთა ხალხის წინაშე დგას ამოცანა — განამტკიცოს მოპოვებული პოზიციები და გასწიოს წინ ახალი სამეურნეო აღმავლობისაკენ. ჩვენ არ შეგვიძლია დავუჯერდეთ ამ პოზიციების განმტკიცებას, ვინაიდან ეს ერთ ადგილზე შეჩერებადეც მიგვიყვანდა,—ჩვენ უნდა გავწიოთ წინ, რათა შევქმნათ პირობები სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. ჩვენ უმოკლეს ვადაში უნდა მოვიშუშოთ ჩვენს ქვეყანას ტრის მიერ მიყენებული ჭრილობები და აღვადგინოთ სახალხო მეურნეობის განვითარების ომამდელი დონე, რათა უახლოეს დროში მნიშვნელოვნად გადავაჭარბოთ ამ დონეს, ავამაღლოთ ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კიდევ უფრო განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიური ძლიერება“.

ახლა ყველა ხედავს, რომ საბჭოთა ადამიანები წარმატებით ახორციელებენ მოპოვებული პოზიციების განმტკიცებისა და ახალი სამეურნეო აღმავლობისაკენ შემდგომი წინსვლის ამ სტალინური პროგრამის.

თუ ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი წლის გეგმა მთლიანად ეს შესრულდა, რადგან პირველ ომისშემდგომ წელს დიდი ძალები დასჭირდა მრეწველობის, სამხედრო რელსებიდან მშვიდობიანი განვითარების რელსებზე გადაყვანასა, აგრეთვე 1946 წლის გვალვასა და მოუსავლიანობასთან დაკავშირებული წარმოებიდან დამატებითი სიძნელეების გამო, უკვე ხუთწლედის მეორე წელს მდგომარეობა გაუმჯობესდა მთელ სამეურნეო ფრონტზე. 1947 წელს ჩვენმა მრეწველობამ არა თუ მთლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა თავისი წლიური გეგმა. ამის შედეგად მთლიანად შესრულდა ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი ორი წლის საერთო გეგმაც. საბჭოთა ხალხს დიდი მიღწევა იყო ის ფაქტიც, რომ უკვე გასული წლის დამლევს ჩვენი მრეწველობა ომამდელ, 1940 წლის ღონემდე აღიდა.

ასეთ ვითარებაში ომისშემდგომი ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხუთწლედის მიმდინარე მესამე წელს. ჩვენი მუშათა, პატრიოტი ორგანიზაციების, პროფკავშირების, კომკავშირის მუშათის წარმატებებზე დამოკიდებული მთელი ხუთწლედის შესრულება და, მისი ვადამდე შესრულების შესაძლებლობა. ჩვენ კი ვიცით, რომ ხუთწლედის ვადამდე შესრულების იდეა ღრმად შეიჭრა მუშათა კლასს შეგებაში.

ჯერ კიდევ შარშან ლენინგრადის მუშებმა მოწოდებით მიმართეს მთელი ჩვენი ქვეყნის მუშებს—შეესრულებინათ ხუთწლედი ოთხ წელიწადში. ამ მოწოდებამ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში არ ყოფილა სამ ეწველი პროდუქციის გამომცა„ების ჩვენებლებივი შემცირება წინ, ! წლის უკანასკნელ თვეებიან შედარებით. წელს ჩვენი მრეწველობა ყოველ კვარტალში გადაჭარბებით ასრულებს დაწესებულ დავალებებს. პირველი ცხრა თვის მანძილზე მრეწველობის საერთო პროდუქცია 27 პროცენტით გაზრდილა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. მარტო ეს ფაქტი მოწმობს, თუ რა სწრაფად მიდის ჩვენი სახელმწიფოს ომისშემდგომი აღდგენა და ეკონომიური აღმავლობა. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ მიმდინარე წელს ჩვენი მრეწველობა ისეთ დონეზე მოდის, რომელიც 17 პროცენტით აღემატება ომამდელ, 1940 წლის დონეს. (ტაში).

მრეწველობის აღდგენასა და ზრდასთან ერთად მიღწეულ მუშათა კლასის ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამი მისცა კაპიტალიზმის სისტემის ნგრევას, მაგრამ თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე საბჭოთა კავშირი სოციალიზმის ერთადერთი ქვეყანა იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალიზმს ჩამოშორდნენ ევროპის ისეთი ქვეყნები, როგორიც არიან პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, უნგრეთი, ალბანეთი, იუგოსლავია. გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობა დამოკიდებულ და კოლონიურ ქვეყნებში. მიეხედგიდან ყველა დაბრკოლებისა და ეშმაკობიან კაპიტალისტის ქვეყნებში ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. სულ უფრო იზრდება საერთაშორისო ავტორიტეტი სსრ კავშირისა, როგორც დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური ბანაკის მთავარი ბურჯისა, რომელიც უპირისპირდება იმპერიალიზმისა და აგრესიის ბანაკს.

ლენინ-სტალინის დიადი დროშით ჩვენი ხალხი წინ მიდის თავისი მოძალეთის სრული რწმენით და ამყოფილებით უფუფრებს გმირული ბრძოლისა და სახელოვან გამარჯვებათა განელილ წლებს.

II

ახალი აღმავლობის გზით

ჩვენი ხალხის მთელ მუშაობას დიდი საპაძალო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საფუძველად უდევს ამხანაგ სტალინის ცნობილი მითითებანი:

„დაამთავრა რა ომი მტრებზე გამარჯვებით, საბჭოთა კავშირი შეეფინა თავისი სამეურნეო განვითარების ახალ, მშვიდობიან პერიოდში. ამჟამად საბჭოთა ხალხის წინაშე დგას ამოცანა — განამტკიცოს მოპოვებული პოზიციები და გასწიოს წინ ახალი სამეურნეო აღმავლობისაკენ. ჩვენ არ შეგვიძლია დავუჯერდეთ ამ პოზიციების განმტკიცებას, ვინაიდან ეს ერთ ადგილზე შეჩერებადეც მიგვიყვანდა,—ჩვენ უნდა გავწიოთ წინ, რათა შევქმნათ პირობები სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. ჩვენ უმოკლეს ვადაში უნდა მოვიშუშოთ ჩვენს ქვეყანას ტრის მიერ მიყენებული ჭრილობები და აღვადგინოთ სახალხო მეურნეობის განვითარების ომამდელი დონე, რათა უახლოეს დროში მნიშვნელოვნად გადავაჭარბოთ ამ დონეს, ავამაღლოთ ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კიდევ უფრო განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიური ძლიერება“.

ახლა ყველა ხედავს, რომ საბჭოთა ადამიანები წარმატებით ახორციელებენ მოპოვებული პოზიციების განმტკიცებისა და ახალი სამეურნეო აღმავლობისაკენ შემდგომი წინსვლის ამ სტალინური პროგრამის.

თუ ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი წლის გეგმა მთლიანად ეს შესრულდა, რადგან პირველ ომისშემდგომ წელს დიდი ძალები დასჭირდა მრეწველობის, სამხედრო რელსებიდან მშვიდობიანი განვითარების რელსებზე გადაყვანასა, აგრეთვე 1946 წლის გვალვასა და მოუსავლიანობასთან დაკავშირებული წარმოებიდან დამატებითი სიძნელეების გამო, უკვე ხუთწლედის მეორე წელს მდგომარეობა გაუმჯობესდა მთელ სამეურნეო ფრონტზე. 1947 წელს ჩვენმა მრეწველობამ არა თუ მთლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა თავისი წლიური გეგმა. ამის შედეგად მთლიანად შესრულდა ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი ორი წლის საერთო გეგმაც. საბჭოთა ხალხს დიდი მიღწევა იყო ის ფაქტიც, რომ უკვე გასული წლის დამლევს ჩვენი მრეწველობა ომამდელ, 1940 წლის ღონემდე აღიდა.

ასეთ ვითარებაში ომისშემდგომი ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხუთწლედის მიმდინარე მესამე წელს. ჩვენი მუშათა, პატრიოტი ორგანიზაციების, პროფკავშირების, კომკავშირის მუშათის წარმატებებზე დამოკიდებული მთელი ხუთწლედის შესრულება და, მისი ვადამდე შესრულების შესაძლებლობა. ჩვენ კი ვიცით, რომ ხუთწლედის ვადამდე შესრულების იდეა ღრმად შეიჭრა მუშათა კლასის შეგებაში.

ჯერ კიდევ შარშან ლენინგრადის მუშებმა მოწოდებით მიმართეს მთელი ჩვენი ქვეყნის მუშებს—შეესრულებინათ ხუთწლედი ოთხ წელიწადში. ამ მოწოდებამ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში არ ყოფილა სამ ეწველი პროდუქციის გამომცა„ების ჩვენებლებივი შემცირება წინ, ! წლის უკანასკნელ თვეებიან შედარებით. წელს ჩვენი მრეწველობა ყოველ კვარტალში გადაჭარბებით ასრულებს დაწესებულ დავალებებს. პირველი ცხრა თვის მანძილზე მრეწველობის საერთო პროდუქცია 27 პროცენტით გაზრდილა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. მარტო ეს ფაქტი მოწმობს, თუ რა სწრაფად მიდის ჩვენი სახელმწიფოს ომისშემდგომი აღდგენა და ეკონომიური აღმავლობა. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ მიმდინარე წელს ჩვენი მრეწველობა ისეთ დონეზე მოდის, რომელიც 17 პროცენტით აღემატება ომამდელ, 1940 წლის დონეს. (ტაში).

მრეწველობის აღდგენასა და ზრდასთან ერთად მიღწეულ მუშათა კლასის ავადმყოფობა-ფიზიკურ ტანჯვა-ეროვნული ბედნიერებისა და საკოლმეურნეო შრომის დაზარალებულ ადამიანებისა. ეს კი ხელს შეიწყობდა ეროვნული ბედნიერებისა და საკოლმეურნეო შრომის ორგანიზაციის შემდგომ გაუმჯობესებასა და საკოლმეურნეო სოფლის კეთილდღეობის აღმავლობას. მთავრობის შარშანდელმა გადაწყვეტილებამ სოფლის მეურნეობაში ფულის ერთ-ერთ ძალიერ ბრძოლა-ბრძოლა ეს ... ...

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXI წლისთავი

3. მ. მოლოტოვის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1948 წლის 6 ნოემბერს

(გაგრძელება)

თი სახეებით გადაგვშლიან საბჭოთა ეპოქის მოვლენებისა და ადამიანთა მუშაობის ისეთი ეზრო. ნამდვილი ხელოვნება მისაზეიმოა და ღრმა კვალს სტოვებს ადამიანთა შეგნებაში. და ამიტომ ასე დიდი საბჭოთა ხელოვნების ახლანდელი აღმავლობის მნიშვნელობა საბჭოთა ხალხს კომუნისტური აღზრდის წარმატებათა განვითარებისათვის. საბჭოთა ხელოვნება ღრმად იჭრება ჩვენი ქვეყნის საზღვრებს იქით, აშკარებს ჩვენი საშობლოს საქმეებსა და ფლებებს, რის დაფარასაც ან შშრომელთა თვალში დამახინჯებას ცდილობს კაპიტალისტური პრესა.

მეცნიერულ-თეორიული მუშაობის ადამალმობისათვის დიდი პრინციპული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს უკანასკნელ დისკუსიას ბიოლოგიის საკითხების გამო მეცნიერულ წრეებში.

დისკუსიამ მეტკიდრეობითობის თეორიის საკითხებზე დააყენა ნიდი პრინციპული საკითხები მატერიალიზმის პრინციპებზე დამყარებული ნამდვილი მეცნიერების ბრძოლის შესახებ რეაქციულ-იდეალისტური ნაშთების წინააღმდეგ მეცნიერულ მუშაობაში, როგორიც არის ვეისმანიზმის მოძღვრება უცვლელი მემკვიდრეობითობის შესახებ, რომელიც გამოიცხადეს შეძენილ თვისებათა გადაცემას მომდევნო თაობებისათვის. ამ დისკუსიამ ბაზებამით აღნიშნა მატერიალისტური პრინციპების შემოქმედებითი მნიშვნელობა მეცნიერების ყველა დარგისათვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერულ-თეორიული მუშაობის დაჩქარებულ წინსვლას ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ უნდა ვეახსოვდეს მეცნიერების წინაშე ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამოცანა: „არა მარტო დაეწიონ, არამედ უახლოეს დროში კიდეც გადააჭარბონ მეცნიერების მიღწეებს ჩვენი ქვეყანის ფარგლებს გარეთ“. **(ბანგრძლივი ტაში).**

დისკუსიის ბიოლოგიის საკითხებზე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა, განსაკუთრებით სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი წარმატებისათვის. ტყუილად ხომ არ ჩაიდდა ამ ბრძოლას სათავეში აკადემიკოსი ლისენკო, რომლის დამსახურებაც სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ჩვენს საერთო ბრძოლაში, ყველასათვის ცნობილია. ეს დისკუსია ჩატარდა მიჩურინის ცნობილი დოკლადის: „ჩვენ ვერ დაველოდებით მოწყალეობას ბუნებისაგან; ჩვენი ამოცანაა გამოვართვათ იგი ბუნებას“. მიჩურინის ეს ანდერძი, შეიძლება ითქვას, გამსჭვალულია ბოლშევიკური სულისკვეთებით და მოუწოდებს არა მარტო მეცნიერების მუშაკებს, არამედ სოფლის მეურნეობის მილიონობრივი პრაქტიკოსებსაც ცოცხალი შემოქმედებითი მუშაობისაკენ, ჩვენი ხალხის სასარგებლოდ და სადიდებლად.

მეცნიერული დისკუსია ბიოლოგიის საკითხებზე ჩატარდა ჩვენი პარტიის წარმმართველი გავლენით. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობა იდეებმა აქაც შეასრულეს გადამწყვეტი როლი, ახალი ფართო პერსპექტივები დასახეს მეცნიერულ და პრაქტიკულ მუშაობაში.

ახალი აღმავლობის გზაზეა ჩვენი ქვეყანა.

ამას მოწმობენ ის შრომითი აღმავლობა და უბრალო საბჭოთა ადამიანების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება, მეცნიერებისა და ხელოვნების ადამიანთა ის მიღწევები და სოციალისტური შეჯნებლობის ის წარმატებანი, რომლებსაც ჩვენ ყოველდღე ვხედავთ, ვმოსწლეობთ მათში თვითეული საკუთარი ძალების მიხედვით და რომლებითაც ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ. „ჯერ კიდევ გუშინ ჩვენი მტრები ცდილობდნენ გადაეკეტათ ჩვენი ქვეყნის ვეებერთელა ტერიტორია „უდაბნოს ზონათ“, ანადგურებდნენ და ანგრევდნენ ყველაფერს თავიანთ მტრულ გზაზე. ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვიშუშებია ომით მოყენებული ბევრი ჭრილობა, არ აღგიდგენია მთელი რიგი ქალაქები, არ აგებულებია ის შენობები და ბინები, რომლებიც ჩვენ გვჭირდება, რათა ბოლო მოეფინოთ ფაშისტ ბარბაროსთა შემოსეულის შედეგებს. მაგრამ ჩვენ ამ მუშაობას წარმატებით ეუწევთ და სულ უფრო სწრაფად და ტემიციად მიდიოთარ წინ, უკან ჩამოვიტოვეთ რა ომამდელი დროის ბევრი მიღწევა.

დიდი აღმავლობის გზაზეა ჩვენი ქვეყანა, სადაც სამშობლოს სასარგებლოდ მიგმაბრობითა და ერთობლივი შრომით შეკავშირებული საბჭოთა ხალხების ოჯახი გეგრჩენებს მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხთა თანამშრომლობისა და ძმური ურთიერთობის ისტორიაში არნახულ მაგალითს. **(ტაში).**

ჩვენ გვაფრთიანებს, ბრძოლისათვის აღგვაფრთოვანებს და წინ მიგვაგორებს ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს. **(მთელი დარბაზის მჭეხარე ოვაცია).**

II

მეკიცხე. დემოკრატიული მეშვიდობისათვის ბრძოლის აპანგარდი

ოთხი წლის წინათ ამხანაგმა სტალინმა ომისშემდგომი პერიოდის ამოცანების განსაზღვრისას სთქვა:

„გერმანიის წინააღმდეგ ომის მოგება ნიშნავს დიადი ისტორიული საქმის განხორციელებას. მაგრამ ომის მოგება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ხალხებისათვის მომავალში მტკიცე მშვიდობისა და საიმედო უშიშროების უზრუნველყოფას. ამოცანა არა მარტო ის არის, რომ მოვიგოთ ომი, არამედ ისიც, რომ შეუძლებელი გავხადოთ ახალი აგრესიისა და ახალი ომის წარმოშობა, თუ საშეგამდე არა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მაინც“.

რათა ხელი შეეწყო ამ მიზნების წარმატებით განხორციელებისათვის, სსრ კავშირმა აქტიური მონაწილეობა მიიღო მთელ რიგ საერთაშორისო შეთანხმებათა შემუშავებაში ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.

ყველას ახსოვს, თუ როგორ შ-მოდგა შეთანხმებანი საბჭოთა კავშირსა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის, რასაც ჩინეთი და საფრანგეთი მიემხრნენ, და რაც შემდეგ საფუძვლად დაედო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის, შეერთებული შტატებისა და ინგლისის შეთანხმებას გერმანიის საკითხზე, რაც მიღებული იყო იალტაში. ცნობილია აგრეთვე, რომ პოტსდამის დადგმულებებმა ომისშემდგომი მოწესრიგების საკმარისა ერთ-ერთ ეტაპად. პოტსდამის სეკციალური დელეგაციია იალთის შესახებ უნდა გამდეს, კიარის დელეგაციისა და იალტის შეთანხმებათან ერთად, საფუძველი მშვიდობის მოწესრიგებისა ომის შემდეგ.

ომის შესამაბამად საბჭოთა მთავრობა მტკიცედ მოითხოვს, რომ ომიდან ეგზიარდეს გერმანია და განხორციელდეს ოერის სამხედრო ოლქის, როგორც გერმანიის სამხედრო მრეწველობის მთავარი ბაზისადმი საერთაშორისო კონტროლის გარკვეული გეგმა. ამის შესაბამისადვე საბჭოთა მთავრობა მტკიცედ მოითხოვს, რომ საფუძვნი აიკრძალოს სამხედრო მრეწველობა იაპონიაში და დაწესდეს სათანადო საერთაშორისო კონტროლი, რათა იქ დაშვებულ არ იქნას სამხედრო მრეწველობის აღდგენა. მაგრამ ამასთან ერთად, საბჭოთა მთავრობის მიაჩნია, რომ არ შეიძლება ჩაზობილ იქნას სამშვიდობო მრეწველობა არც გერმანიაში და არც იაპონიაში. როგორც გერმანელ, ისე იაპონელ ხალხს უნდა მიეცეს შესაძლებლობა უზრუნველყოს თავისი თავი ყოველგვარ იმით, რისი მოცემაც შეუძლია მათს საკუთარ მრეწველობას, რომელიც სამშვიდობო საქონლის აწარმოებს.

თუ ჩვენ გვსურს ვიყოთ იმ ვალდებულებათა ერთგულნი, რომლებიც ეკისრეთ გერმანიისა და იაპონიის მიმართ მშვიდობის მოწესრიგების საქმეში, ამ გზით უნდა ვიარით. მხოლოდ ამით, ვისაც სურს დაუსრულებლად გაგაჩაბეროს გერმანიისა და იაპონიის ოკუპაცია და ვინც ანგარიშს არ უწევს მათი ხალხების კანონიერ ინტერესებს, შეუძლია თავი აარიდოს ლეგიტიმურ საერთაშორისო შეთანხმებათა შესრულებას.

ასეთია ომისშემდგომი მშვიდობის მოწესრიგების მთავარი ამოცანების მოგმამარეობა.

სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ეხვა ძირითადი საკითხია ბრძოლა აგრესიის ახალი ძალების წინააღმდეგ და, ომის შესაბამისად, ახალი ომის პრევენციისა და გამჩაღებელთა წინააღდეგ.

ამ მიზნით ჯერ კიდევ 1946 წელს საბჭოთა კავშირმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად შეიტანა ცნობილი წინადადება შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ. მიუხედავად აგრესიული ელემენტების წინააღმდეგობისა, ეს წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ძირითადად მიიღო.

